თარგმანი

დევიდ სანდერსი. ბიჰევიორისტული ანალიზი (პოლიტიკის მეცნიერებაში)

სოციალური და პოლიტიკური ანალიზის ბიჰევიორისტული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ერთ ძალიან მარტივ შეკითხვაზე: რატომ იქცევიან ადამიანები ისე, როგორც იქცევიან? რაც განასხვავებს ბიჰევიორალისტებს სხვა სოციალური მეცნიერებებისგან, იკითხება მათ დაჟინებულ მოთხოვნაში, რომ (1) დაკვირვებადი ქცევა, იქნება ეს ინდივიდუალური თუ სოციალური ჯგუფის დონეზე, აუცილებლად უნდა მოექცეს ანალიზის ფოკუსში. და (2) ამ ქცევის ნებისმიერი ახსნის ემპირიული გადამოწმება უნდა იყოს შესაძლებელი. ბიჰევიორალისტი მკვლევრები მიიჩნევენ, რომ რა თეორიული ახსნებიც არ უნდა იყოს გამოყენებული ნებისმიერი სახის ანალიზში, სოციალური კვლევა ფუნდამენტურად უნდა მიემართოს ადამიანთა საუბრის, ფიქრისა და მოქმედების შესწავლას.

ბიჰევიორისტულ ტრადიციაში მოღვაწე მეცნიერებმა არსებითი პრობლემების ფართო სპექტრი შეისწავლეს. მათ სიღრმისეულად შეისწავლეს მიზეზები, რომლებიც საფუძვლად დაედო მასობრივი პოლიტიკური მონაწილეობის ძირითად ფორმებს დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად, ხმის მიცემა (ელექტორალური ქცევა) (Heath et al., 1994; Clarke et al., 2009). მათ ასევე შეისწავლეს მონაწილეობითი ქცევა პოლიტიკური ქმედების ისეთ არატრადიციულ ფორმებში, როგორიცაა დემონსტრაციები, გაფიცვები და პოლიტიკური არეულობები (Barnes და Kaase, 1979; Parry et al., 1992; Anderson და Mendes, 2006).

ელიტების დონეზე, ბიჰევიორალისტებმა შეისწავლეს ლიდერთა ქცევა, განსაკუთრებით კი აქცენტი გააკეთეს კავშირზე, ერთი მხრივ, ლიდერთა დამოკიდებულებებზე სოციალური სამყაროს მიმართ (მათ დამოკიდებულებებსა და ღირებულებებზე) და, მეორე

მხრივ, მათ კონკრეტულ პოლიტიკურ ქმედებებს შორის. (მაგ. Allison, 1971; King, 1985; Sanders, 1990; Dunleavy და Jones, 1993; King, 2002). სოციალური აგრეგაციულობის თვალსაზრისით, ბიჰევიორისტული ანალიზი შეისწავლის ინტერესთა ჯგუფების (მაგალითად, Grant and Marsh, 1977; Wilson, 1990; Nownes and Lipinski, 2005) და პოლიტიკური პარტიების ქმედებებს (მაგ. Budge და Fairlie, 1983; Budge და Laver, 1992; Dalton, 2002; Ezrow, 2008). საერთაშორისო დონეზე, ბიჰევიორისტული ანალიზი ასევე ფოკუსირებულია ეროვნული სახელმწიფოების ქმედებების შესწავლაზე, ისევე, როგორც არასახელმწიფო აქტორების ქცევაზე, როგორიცაა მულტინაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებები თუ ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, როგორიცაა მაგ. ევროკავშირი (მაგ. Keohane, 1984; Baldwin, 1993; Cederman et al., 2013). ყველა ამ მრავალფეროვან კონტექსტში, ძირითადი კითხვები, რომლებზეც ბიჰევიორალისტები ცდილობენ პასუხის გაცემას, მარტივია: რას აკეთებენ რეალურად მონაწილე აქტორები? როგორ შეიძლება იმის საუკეთესოდ ახსნა, თუ რატომ აკეთებენ ადამიანები იმას, რასაც აკეთებენ? ცხადია ეს არ არის ერთადერთი შეკითხვა, რომელიც ინდივიდებისა თუ სოციალური აქტორების მიმართ შეიძლება დაისვას, თუმცა ბიჰევიორალისტები მათ ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

ეს თავი დაყოფილია ოთხ ნაწილად, პირველ ნაწილში საუბარია ბიჰევიორალიზმის წარმოშობის ისტორიაზე და გაანალიზებულია მისი ძირითადი ანალიტიკური საფუძვლები. მეორე ნაწილში მიმოხილულია ძირითადი კრიტიკა, რომელიც, სხვადასხვა დოზით, ამართლებდა ბიჰევიორისტული მიდგომის გამოყენებას. მესამე ნაწილში აღწერილია ერთი მნიშვნელოვანი კვლევა, სედერმანის, გლედიჩის და ბუჰაუგისეული ანალიზი (2013) სამოქალაქო კონფლიქტების წარმოშობაში უთანასწორობის გავლენებზე, რომელიც ბიჰევიორისტული ანალიზის დადებით მხარეებს წარმოაჩენს. ბო-

ლო ნაწილში კი განხილულია გავლენა, რომელიც თანამედროვე პოლიტიკურ მკვლევრებში ბიჰევიორისტულ ანალიზს გააჩნია.

ბიჰევიორისტული მოძრაობის განვითარება და მისი ფუნდამენტური მახასიათებლები

ბიჰევიორისტულმა მოძრაობამ, 1950-იან და 1960-იან წლებში, მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა სოციალურ მეცნიერებებში. მისი ფილოსოფიური საფუძვლები დაკავშირებულია მე-19 საუკუნეში ოგიუსტ კომტის (Comte, A., 1974) და 1920-იან წლებში ,,ვენის წრის" ლოგიკური პოზიტივიზმის ნაშრომებთან. პოზიტივიზმი, რომელიც ბრიტანეთში ალფრედ აიერმა, ხოლო გერმანიაში კარლ ჰემპელმა გაავრცელა, ამტკიცებდა, რომ ფიზიკური ან სოციალური სამყაროს შესახებ გაკეთებული განცხადებები სამ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ. პირველი, ასეთი განცხადებები შეიძლება წარმოადგენდეს სასარგებლო ტავტოლოგიებს, რომლებიც კონკრეტულ ფენომენს ან ცნებას შესაბამის კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, ოჯახებს, რომელთაც ყოველკვირეული საშუალო ხელფასის ერთ მესამედზე ნაკლები შემოსავალი გააჩნიათ, შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც ,,სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ოჯახი". მეორეც, ამგვარი განცხადებები შეიძლება იყოს ემპირიული, რაც დაკვირვების ნაცვლად, მათ ემპირიულ შემოწმებას ხდის შესაძლებელს. მესამე, განცხადებები, რომლებიც არ მიეკუთვნება ზემოხსენებულ პირველ და მეორე კატეგორიას, მოკლებულია ანალიტიკურ მნიშვნელობას. შესაბამისად, პოზიტივისტებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ანალიზი, რომელიც მხოლოდ სასარგებლო ტავტოლოგიების და/ან ემპირიული გადამოწმების გზითაა მიღებული. მეტაფიზიკა, თეოლოგია, ესთეტიკა და ეთიკაც კი, მათი აზრით, მხოლოდ აბუნდოვანებს კვლევის პროცესს.

რა თქმა უნდა, მცდარი იქნება, რომ ბიჰევიორალიზმს პოზიტივიზმის ყველა ფილოსოფიური პრინციპი მივაწეროთ. მაშინაც

კი, როცა 1950-იან წლებში, ბიჰევიორალიზმმა ფართო აღიარება მოიპოვა სოციალურ მეცნიერთა წარმომადგენლებს შორის, თავად პოზიტივიზმი სასტიკი ფილოსოფიური კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა - იმ დაშვებითაც კი, რომ პოზიტივისტური მტკიცება ჭეშმარიტად მხოლოდ სამი სახის განცხადებას მიიჩნევდა (ტავტოლოგიურს, ემპირიულს და უარყოფას ნებისმიერი სხვა მტკიცებისა, რომელიც გამორიცხავდა პირველ ორს). აქედან გამომდინარე, ბიჰევიორისტული შეხედულება ემპირიული თეორიის და ახსნის ბუნების შესახებ დიდ გავლენას ახდენდა პოზიტივისტურ ტრადიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი კრიტიკული ტერმინის მრავალი განმარტება არსებობს, ბიჰევიორალისტთა უმრავლესობა ალბათ შემდეგ ორზე შეთანხმდებოდა:

- *ემპირიული თეორია* წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული, აბსტრაქტული დებულებების ერთობლიობას, რომელიც შედგება ვარაუდებისგან, განმარტებებისა და ემპირიულად შემოწმებადი ჰიპოთეზებისგან, რომელიც მიზნად ისახავს მოცემული ფენომენის ან ფენომენთა სიმრავლის აღწერასა და ახსნას.
- *ახსნა* მიიღება რაიმე ფენომენის ან ფენომენთა სიმრავლის მიზეზშედეგობრივი ანალიზის გზით. კონკრეტული მოვლენის ახსნა შედგება მანამდე არსებული მინიმალურად არატავტოლოგიური ცნებების დაზუსტებით, რომელიც აუცილებელია მისი განვითარებისთვის.

თეორიის და ახსნის ამ განმარტებების მნიშვნელობა თეორიის შეფასების პროცესში მდგომარეობს. პოზიტივისტებისთვის გადამწყვეტი შეკითხვა, რომელიც სავარაუდო ამხსნელ თეორიასთან მიმართებაში ყოველთვის უნდა დაისვას მდგომარეობს შემდეგში: როგორ გავიგოთ, რომ თეორია, რომელსაც ვიყენებთ არამართებულია? ბიჰევიორალიზმის მიერ ამ საკითხის ცენტრალური ლოგიკის მოწონება არის ზუსტად ის, რაც აჩვენებს მის ინტელექტუალურ

ვალს პოზიტივიზმის წინაშე. როგორც პოზიტივისტებისთვის, ასევე ბიჰევიორალისტებისთვის, არსებობს სამი ძირითადი გზა, რომელითაც შესაძლებელია ამხსნელი თეორიების შეფასება:

1. ,,კარგი" თეორია შინაგანად თანმიმდევრული უნდა იყოს. მასში არ უნდა იყოს იმგვარი მტკიცებები, რომ გარკვეული წინაპირობების არსებობა ან არარსებობა, ასახსნელი ფენომენის წარმოშობის ,,გამომწვევად" ჩაითვალოს.

2. ,,კარგი" თეორია, რომელიც ეხება ფენომენის კონკრეტულ გარემოებებს, შეძლებისდაგვარად კავშირში უნდა იყოს სხვა ისეთ თეორიებთან, რომლებიც მასთან დაკავშირებულ ფენომენის ახსნას ცდილობენ.

3. და, რაც მთავარია, ჭეშმარიტ ამხსნელ თეორიებს უნდა შეეძლოთ ემპირიული პროგნოზების გაკეთება, რომელიც შეიძლება შემოწმდეს, ნაცვლად დაკვირვებისა. კონკურენტულ თეორიებს შორის გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი მიშვნელოვანი გზა (რომელიც სხვა ასპექტებში შეიძლება თანაბრად დამაჯერებელი აღმოჩნდეს) ემპირიული ტესტირებაა. ასეთი შემოწმება შეიძლება ჩატარდეს, როგორც ინდივიდუალური სოციალური აქტორების, ასევე, ჯგუფის დონეზე, მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა შეუძლებელი იყო თეორიის შემოწმება მისი ბუნებიდან გამომდინარე.

სწორედ ეს აქცენტი ემპირიულ დაკვირვებასა და შემოწმებაზე აყალიბებს სოციალური კვლევისადმი ბიჰევიორისტული მიდგომის ორ მთავარ მახასიათებელს:

პირველი და ყველაზე ნაკლებად სადავო ამ საკითხებიდან არის ბიჰევიორისტების მიდგომა საილუსტრაციო მაგალითების გამოყენებასთან დაკავშირებით. ნაცვლად შეზღუდული რაოდენობის მაგალითებისა, ისინი უპირატესობას ანიჭებენ რელევანტური ემპირიული მტკიცებულებების სისტემურ გამოყენებას. ამაში იგულის-

ხმება, რომ კონკრეტული თეორიული საკითხის შესწავლისას არ არის საკმარისი მხოლოდ არაოფიციალური წყაროებისგან ან სუბიექტების პირადი დაკვირვების საფუძველზე დასკვნის გაკეთება. სანაცვლოდ, მკვლევარმა უნდა განიხილოს ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა შემთხვევა (ან თითოეული შემთხვევის წარმომადგენლობითი მაგალითი).

სწორედ ამ კონტექსტშია ბიჰევიორალისტების მხრიდან გამართულებული სტატისტიკური ტექნიკის გამოყენება და განვითარება - როგორც მექანიზმის, დიდი რაოდენობის ,,რელევანტური ემპირიული მტკიცებულებების“ ანალიზისთვის. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბიჰევიორალიზმი არ შეიძლება მონაცემთა კვანტიფიკაციის ან თვისებრივი კვლევის დაკნინებასთან გავაიგივოთ. მიუხედავად იმისა, რომ ბიჰევიორალისტი მკვლევრები ხშირად იყენებენ რაოდენობრივ ტექნიკას, როგორც მტკიცებულებების დამუშავების ევრისტიკულ მეთოდოლოგიას, ბიჰევიორალიზმის ეპისტემოლოგიურ პოზიციაში არაფერია იმგვარი, რაც მონაცემთა კვანტიფიკაციას მოითხოვს. პირიქით, ემპირიული ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი ტექნიკები თანაბრად მისაღებია ბიჰევიორალისტი მკვლევრებისთვის. თეორიის შემოწმებისას მათთვის მნიშვნელოვანია თვისებრივი თუ რაოდენობრივი მეთოდოლოგიის სისტემური გამოყენება, ნაცვლად მათი უბრალო საილუსტრაციო წარმოდგენისა.

ბიჰევიორისტული ანალიზის მეორე მახასიათებელი დასკვნების მიმართ ოდნავ უფრო ფაქიზი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია. მარტივად, მეცნიერული თეორიების და/ან ახსნების ფალსიფიცირება შესაძლებელი უნდა იყოს. გაითვალისწინეთ, რომ აქ საუბარია ,,მეცნიერულ“ და არა უბრალოდ ,,ემპირიულ“ ან ,,ამხსნელ“ თეორიებზე. ამგვარი გაგება გამოხატავს ბიჰევიორალიზმის ერთგულებას კარლ პოპერისეულ პოზიტივიზმის გადახედვასთან, რომელშიც მან (1) შეცვალა ფალსიფიცირების პრინციპი გადამოწმე-

ბის პრინციპით; და (2) ერთობლივად დადგინდა ფალსიფიცირების გამმიჯნავი ხაზი „მეცნიერულ“ და „ფსევდომეცნიერულ“ კვლევას შორის (Popper, K., 1959). იმისთვის, რომ სათანადოდ შევაფასოთ ამ განცხადების მნიშვნელობა, მოკლე გადახედვაა საჭიროა.

საჭიროა შევაფასოთ, თუ რას ნიშნავს თეორიის ან ახსნის „ფალსიფიცირება“. ამისთვის განვიხილოთ ნაცნობი დებულება, რომელიც თავად პოპერმა გამოიყენა, მაგ. „ყველა გედი თეთრია“. დავუშვათ, რომ ვაკვირდებით შავ გედს. რას გვეუბნება ეს ამ დებულებაზე? ერთ-ერთი ინტერპრეტაციით, შავ გედზე დაკვირვება აჩვენებს, რომ დებულება ემპირიულად მცდარია. დებულება წინასწარვე მცდარი იყო და ასეც აღმოჩნდა. მაგრამ შავ გედზე დაკვირვებით, ამ დებულების სხვაგვარი ინტერპრეტაციაცაა შესაძლებელი. დებულება, რომელშიც ნათქვამი იქნება, რომ ყველა გედი თეთრია, მისგან გამომდინარეობს, რომ შავი გედი, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით, შეუძლებელია იყოს გედი, რადგან ის არ არის თეთრი. ამ ინტერპრეტაციით, თავდაპირველი დებულება აღარ გამოდის მცდარი.

რამდენად შესაძლებელია ორივე ინტერპრეტაცია მართებულად ჩავთვალოთ? პასუხია, რომ შესაძლებელია. თითოეული ინტერპრეტაცია გედის შესახებ განსაზღვრების სხვადასხვა ვარაუდებს გვთავაზობს. პირველი დაშვებით, გედი არის დიდი ფრინველი გრძელი კისრით, რომელიც წყალში გავლისას ძალიან ლამაზად გამოიყურება. ამ განსაზღვრებაში არაფერია ნათქვამი ფრინველის ფერზე. ამგვარ პირობებში, „გედის“ და „ფრინველის ფერის“ განმარტებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია ისეთ რამეზე დაკვირვება, რომელსაც გედის ყველა მახასიათებელი აქვს, მიუხედავად მისი ფერისა. ჩვენ დავაკვირდით შავ გედს და, შესაბამისად, თავდაპირველად მოყვანილი დებულება ამ კონტექსტში მცდარი აღმოჩნდება. მეორე ინტერპრეტაციით, გედი დიდი ფრინველია გრძელი კისრით, რომე-

ლიც ასევე ლამაზად გამოიყურება წყალში გავლისას, მაგრამ ის თეთრია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეორე ინტერპრეტაცია ვარაუდობს, რომ სითეთრე (ფერი) გედად ყოფნის ნაწილია. ასეთ შემთხვევაში, როდესაც შავ გედს ვაკვირდებით, ის არ შეიძლება იყოს გედი, რადგან განმარტების თანახმად, ის აუცილებლად თეთრი უნდა იყოს.

ამ მსჯელობიდან ნათელი ხდება, დებულებაზე საუბრისას ყურადსაღებია მასში შემავალი ცნებების დამოუკიდებლად განსაზღვრა. პირველი ინტერპრეტაციით, ცნებები ,,გედი“ და ,,თეთრი“ დამოუკიდებლადაა განსაზღვრული, შედეგად, დებულება შეიძლება იყოს ემპირიული ან ასევე, შეიძლება იყოს ფალსიფიცირებულიც. დაკვირვების ნაცვლად, მისი ემპირიული შემოწმებაა შესაძლებელი. თუმცა, მეორე ინტერპრეტაციით ,,გედი“ და ,,სითეთრე“ არ არის დამოუკიდებლად განსაზღვრული. შედეგად, განცხადება ნაწილობრივ განმეორებითია ან ის უბრალოდ გამოუსადეგარი მტკიცებაა, რომ სითეთრე გედის განმსაზღვრელი თვისებაა.

ინტერპრეტაციის ამგვარი პრობლემა ფართოდ გავრცელებულია სოციალურ მეცნიერებებში. განვიხილოთ შემდეგი დებულება: ,,საყოველთაო არჩევნებზე ხალხი მხარს უჭერს ოპოზიციურ პარტიას, თუ არსებული მთავრობის მუშაობით არ არის კმაყოფილი“. დამატებითი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია იმის მტკიცება ეს დებულება ემპირიულად შემოწმებადი ახსნაა, თუ მხოლოდ განსაზღვრებით ტავტოლოგიას[1] წარმოადგენს. წინამდებარე დებულება შეიძლება განიმარტოს ორი სრულიად განსხვავებული გზით. პირველ რიგში, ჩვენ შეგვიძლია განცხადების ინტერპრეტაცია ფაქტობრივი ჭეშმარიტების (ტავტოლოგიის) გზით: ამ მხრივ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ (1) ყველა ამომრჩეველი, რომელმაც ხმა მისცა

[1] ტავტოლოგია (ლოგიკაში) არის მტკიცება, რომელიც მართებულია ნებისმიერი ინტერპრეტაციის გზით.

მთავრობას, კმაყოფილი უნდა იყოს მისი მუშაობით (წინააღმდეგ შემთხვევაში ამ არჩევანს არ გააკეთებდა); და (2) რომ ყოველი ამომრჩეველი, რომელმაც არჩევანი მთავრობის წინააღმდეგ გააკეთა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი მუშაობით კმაყოფილი (წინააღმდეგ შემთხვევაში საპირისპირო არჩევანს გააკეთებდა). ამგვარი ინტერპრეტაციით, ჩვენ ყოველთვის შეიძლება ,,გვჯეროდეს" დებულების, მაგრამ ვერ ვაჩვენოთ მისი ემპირიული სისწორე. ან ის განვიხილოთ, როგორც ლოგიკური კანონი ან მტკიცება. მეორე ინტერპრეტაციით შეგვიძლია დებულების ემპირიულად წარმოდგენა - მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების განსაზღვრებას გავმიჯნავთ კენჭისყრის აქტისგან. თუ ჩვენ მთავრობის მიმართ უკმაყოფილების გაზომვის რაიმე დამოუკიდებელ გზას მოვიფიქრებთ, იმთავითვე შევძლებთ ჩვენი საწყისი დებულების ფალსიფიცირებას ნებისმიერი ხელმისაწვდომი ემპირიული მტკიცებულების საწინააღმდეგოდ. შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ყველა, ვინც ხმა მისცა მთავრობას, კმაყოფილი იყო მისი მუშაობით და ყველა, ვინც მის წინააღმდეგ მისცა ხმა - უკმაყოფილო. ამ შემთხვევაში, ჩვენ დავადასტურებთ საწყის დებულებას. თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ,,ხმის მიცემის" და ,,მთავრობისადმი უკმაყოფილების" ცნებების დამოუკიდებლად განსაზღვრის კონტექსტში, ჩვენ ვქმნით შესაძლებლობას, რომ თავდაპირველი დებულება ემპირიულად მცდარად წარმოვადგინოთ. შევძლებთ მის ფალსიფიცირებას - მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ვიმედოვნებდეთ მის სისწორეს.

ფალსიფიცირებულ და ვერიფიცირებულ დებულებებს შორის სხვაობის ჩვენების შემდეგ, პოპერი აგრძელებს მსჯელობას, რომ მხოლოდ ის თეორიები შეიძლება ჩაითვალოს ,,მეცნიერულად", რომლებიც წარმოქმნიან ემპირიულ პროგნოზებს და რომელთა შემოწმებაც შესაძლებელია. თეორიები, რომლებსაც ამის უნარი არ გააჩნიათ, უბრალოდ ფაქტობრივ მსჯელობას წარმოადგენენ, რომ-

ლებსაც არაფრის ახსნის უნარი არ გააჩნიათ. მართალია ბევრი ბიჰევიორალისტი ნაკლებად ინტერესდება კვლევის შეფასებისას ,,მეცნიერულობით“, თუმცა მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თეორიის შემოწმების პრინციპს. ასევე არ უარყოფენ კონკრეტული თეორიის მართებულობის შეფასების სხვა გზებსაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტი ამხსნელი თეორია უნდა მიჰყვეს ფალსიფიცირების პრინციპს, რომ ,,თუ A, მაშინ B და შესაბამისად, თუ არა A, მაშინ არც B”. მასში მითითებული უნდა იყოს ის მიზეზობრივი წინაპირობები, რომლებიც დამოუკიდებლადაა განსაზღვრული იმ ფენომენისგან, რომელსაც სავარაუდო ახსნა გააჩნია.

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბიჰევიორალისტები თეორიის ყველა ასპექტის ფალსიცირებას მიიჩნევენ მნიშვნელოვნად. როგორც ლაკატოსი (Lakatos, I., 1971) ამტკიცებდა, ზუსტ და სოციალურ მეცნიერებებში თეორიების უმეტესობა ,,მნიშვნელოვანი“ მტკიცებების არაფალსიფიცირებადი ნაკრებისგან შედგება. ამგვარი მტკიცებები ხშირად უაღრესად აბსტრაქტულ დაშვებებს ემყარება, რომლებიც ემპირიულ გადამოწმებას არ ექვემდებარება. თუმცა მნიშვნელოვანი მტკიცებების არაფალსიფიცირებადობა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მთლიანი თეორიის გადამოწმებაა შეუძლებელი. თეორიის შემოწმება მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ვარაუდები მნიშვნელოვანი ახსნებიდან მომდინარეობს და ემპირიულ შემოწმებას ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში, თეორია წარმოადგენს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ ფაქტობრივი ჭეშმარიტებებია, ის აძლევს ანალიტიკოსს შესაძლებლობას დააზუსტოს ყველა ის პირობა, რომელშიც თეორიის ,,სიმცდარე“ იქნება შესაძლებელი.

ასე რომ, ბიჰევიორალისტები გამოყოფენ ორ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც: (1) თეორიები რაღაცის ახსნისკენაა მიდრეკილი და (2) თეორიის შემოწმება/გადამოწმება შესაძლებელია. თეორიები, რომელთა ფალსიფიცირება შეუძლებელია, ბიჰევიორალ-

ისტებისთვის უბრალოდ მკვლევრის დახვეწილ ფანტაზიებს წარმოადგენენ, რომელთა სიმართლესა და სიმცდარეში დაჯერება ინდივიდუალური გადაწყვეტილებაა. თეორიის შეფასება მისი შესწავლისგან დამოუკიდებლად უნდა განხორციელდეს, რათა სათანადოდ შეფასდეს მისი შინაგანი თანმიმდევრულობა და ,,თავსატეხის" ბუნება. თეორიის ახსნა ასევე უნდა მოიცავდეს მასში შემავალი დებულებების ემპირიულ შემოწმებასაც.

ბიჰევიორისტული მიდგომის კრიტიკა

როგორც სოციალურ მეცნიერებებში ნებისმიერი მიდგომის შემთხვევაში, ბიჰევიორალიზმიც მრავალჯერ მოექცა კრიტიკის სამიზნეში. ეს კრიტიკა სამი ფართო სათაურის ქვეშ შეიძლება დავაჯგუფოთ, რომელსაც რიგ-რიგობით წარმოგიდგენთ.

პოზიტივიზმის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ახსნები, რომლებიც არც სასარგებლო ჰეშმარიტებებს წარმოადგენენ და არც ემპირიულად გადამოწმებად ფაქტებს, უმნიშვნელოები არიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბიჰევიორალიზმი ფილოსოფიურად პოზიტივიზმთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი სისუსტე, რომელიც თან ახლავს პოზიტივიზმს, თანდაყოლილი უნდა იყოს ბიჰევიორალიზმისთვისაც. პოზიტივიზმზე გაჟღერებულ მრავალ კრიტიკას შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია მტკიცება, რომლის მიხედვითაც, დებულებათა დიდ ნაკრებში, რასაც პოზიტივიზმი უმნიშვნელოდ მონიშნავს, შეიძლება ბევრ იმგვარ იდეას შეიცავდეს, რომელსაც მნიშვნელოვნად შეუძლია სოციალური ქცევისა და ადამიანის მდგომარეობის შესახებ ჩვენი წარმოდგენების განსაზღვრა. მკაცრი პოზიტივისტური თვალსაზრისით, ნორმატიული თეორია არ არის მიდრეკილი იმის შესწავლისკენ, თუ რა უნდა იყოს - რადგან ნორმატიული დისკურსები არ შემოიფარგლება მხოლოდ ამხსნელი და ემპირიული გან-

ცხადებებით. ამავე მიზეზით არ განიხილება ესთეტიკური ან მორალური არგუმენტების მნიშვნელობა და ასევე, შეუძლებელია რაიმე როლი ჰქონდეს ჰერმენევტიკურ ანალიზს, რომელიც ცდილობს გაიგოს ადამიანის აღქმების ბუნება, აზროვნების პროცესები და მოტივაციების შესახებ სოციალური ქცევა ღრმა რეფლექსიის მეშვეობით. თუ პოზიტივიზმი ცდილობს რეფლექსიურობის ამ ფორმების გამორიცხვას, შესაბამისად რჩება უარგუმენტოდ და შეცდომას წარმოადგენს.

რამდენად რეალურად უარყვეს პოზიტივისტებმა არაემპირიული ანალიზის მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში აღარ განვიხილავთ. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე მკვლევართა უმეტესობა, რომლებიც აგრძელებენ ბიჰევიორალისტურ ტრადიციაში მუშაობას, თითქმის გამორიცხავენ მოსაზრებას, რომ ნორმატიულ თეორიას, ესთეტიზმს და ჰერმენევტიკას უმნიშვნელო როლი გააჩნია სოციალურ და პოლიტიკურ ანალიზში. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს მიდგომები ცოდნის ან გაგების განსხვავებულ მიდგომას იძლევა, ნაცვლად მათი მნიშვნელობების დაკნინებისა. არსებითად, თანამედროვე ბიჰევიორალისტები ღიად აღიარებენ პოზიტივიზმის ამ კონკრეტულ კრიტიკას და ერიდებიან საკუთარი თავის მასთან გაიგივებას, თუნდაც იმის აღიარებით, რომ სხვა, პოტენციურად სასარგებლო ცოდნის ფორმებმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სხვა ინტელექტუალურ ტრადიციებში მომუშავე მკვლევრებს შორის. თანამედროვე ბიჰევიორალისტებს - ,,პოსტბიჰევიორალისტებს“ - უბრალოდ ურჩევნიათ საკუთარი თეორიული მოსაზრებები ემპირიულ გადამოწმებას დაუქვემდებარონ. ისინი ასევე ეჭვობენ, რომ მეცნიერები, რომლებიც მუშაობენ არაემპირიულ ტრადიციებში, ვერასდროს გასცემენ დამაკმაყოფილებელ პასუხს შეკითხვას: როგორ გაიგებდი, ცდებოდი თუ არა?

მიდრეკილება შინაარსისგან დაცლილი ემპირიზმისკენ

ადრეული პოზიტივისტების ყველაზე მნიშვნელოვანი ხედვა იყო, რომ თეორიის გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმგვარი კვლევით, რომელიც იწყება ,,აქამდე არსებულ ნებისმიერ ფაქტზე“ დამოუკიდებელი დაკვირვებით და მისი შედეგია ამ დაკვირვებიდან ინდუქციურად კანონისმაგვარი რეგულარობების გამოყვანა. მოგვიანებით პოზიტივისტებმა, განსაკუთრებით ჰემპელმა და პოპერმა, კატეგორიულად უარყვეს მსგავსი ,,ვიწრო ინდუქციური“ შეხედულებები მეცნიერული კვლევის ბუნებაზე, ნაცვლად ამისა, ამტკიცებდნენ, რომ კვლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარიმართოს, თუ მკვლევრის ძალისხმევა მიმართული იქნება ,,რელევანტური ფაქტების“ დაკვირვებისკენ, რომელსაც მკაფიო თეორიული ახსნა ან სულ მინიმუმ, რაღაც ტიპის ბიძგის მიცემა შეუძლია ახსნისთვის. ჰემპელის (1966: 11-12) მოსაზრების ვრცლად ციტირება ამ კონტექსტის გასაგებად მნიშნელოვანია:

> ,,[ვიწრო ინდუქციური გამოკვლევა] ... ვერასდროს აარიდებს თავს საფუძვლებს. მისი პირველი ეტაპიც (ფაქტების შეგროვების) კი ვერ განხორციელდება, რადგან ფაქტის ყველა კრებული, შეიძლება ითქვას, სამყაროს აღსასრულს უნდა მოელოდეს; და დღემდე, ყველა ფაქტის შეგროვება შეუძლებელია, მათი უსასრულობის და მრავალფეროვნების გამო. მაგალითისთვის, გამოვიკვლევთ თუ არა უდაბნოში არსებულ ქვიშის ყველა მარცვალს? რამდენად შევძლებთ მათი ფორმების, წონის, ქიმიური შემადგენლობის, ერთმანეთისგან დაშორებისა და მუდმივად ცვალებადი ტემპერატურის შესწავლას? შეგვიძლია კი შევისწავლოთ მათი თანაბარი ცვალებადი მანძილი მთვარის ცენტრიდან? ამ პროცესში, ჩავინიშნოთ უნდა თუ არა ყველა ის გარდამავალი აზრი, რაც მუშაობის პროცესში ჩვენს გონებაში გაიელვებს? ჩავინიშნოთ უნდა თუ არა ღრუბლის ფორმები ცაზე და ცის

ფერთა გარდამავლობა? ჩვენი საწერი საშუალებების გამომგონებლის და კომპანიის სახელები? ჩვენი და ჩვენი თანამემამულეების ცხოვრების ისტორიები? ყოველივე ეს და ბევრი სხვა რამ, რისი გამოთქმაც შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს „აქამდე არსებულ ყველა ფაქტს“.

მიუხედავად იმისა, რომ პოზიტივიზმი ინდუქციურობას შორდება, ეჭვგარეშეა, რომ 1950-იანი წლების დასაწყისიდან 1970-იანი წლების შუა პერიოდამდე, ბიჰევიორისტული ტრადიციების ფარგლებში მომუშავე მეცნიერთა ნაწილი კვლავაც ინდუქციური კვლევებისადმი ავლენდნენ მიდრეკილებას. ამ ტენდენციის სიცხადისთვის კონკრეტული მაგალითების ჩვენება ზედმეტია. მიუხედავად ამისა, სამართლიანია იმის თქმა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში, ბევრი ბიჰევიორალისტი იქცეოდა ისე, თითქოს კანონისმაგვარი სამეცნიერო განზოგადებები შეიძლებოდა მხოლოდ სტატისტიკური განონზომიერებს დაქვემდებარებოდა, დიდი რაოდენობით ემპირიულ მონაცემებზე დამყარების გზით. მონაცემებზე ამგვარმა აქცენტმა და თეორიული მსჯელობის *ა პრიორი* დაქვეითებამ, თავის მხრივ, ბიჰევიორისტულ კვლევებში სამი არასასურველი ტენდენცია წარმოშვა.

პირველი ტენდენცია თეორიულად მნიშვნელოვანი საკითხების ნაცვლად, აქცენტს ადვილად გაზომვად საკითხებზე აკეთებს. მისი კრიტიკა ყოველთვის მარტივია, იმ გაგებით, რომ ერთი მკვლევრის მხრიდან რაიმე საკითხზე ზედაპირული მიდგომა, შეიძლება მეორე მკვლევრისთვის სიღრმისეული დაკვირვების საგანს წარმოადგენდეს. მიუხედავად ამისა, ისეთი ფენომენის პოტენციური მნივშვნელობის დაქვეითება, რომელიც რთულად გაზომვადია, ყოველთვის წარმოადგენდა ბიჰევიორისტული კვლევების კრიტიკოსებისა და დამცველების შეშფოთების საგანს. ეს კი განსაკუთრებით ეხება ელექტორალური (საარჩევნო) ქცევის ანალიზს. 1950-იანი წლებში, ბიჰევიორისტული კვლევების ბუმის შემდეგ, ელექტორა-

ლურ ქცევებზე მიმართული კვლევები ძირითადად ფოკუსირდებოდა ამომრჩეველთა სოციალურ (დემოგრაფიულ) პროფილებზე, პარტიულ მიკუთვნებულობებზე, იდეოლოგიურ პოზიციებზე, პოლიტიკურ პრეფერენციებსა და ეკონომიკურ აღქმებზე. შემუშავდა და ემპირიულად დაიტესტა კომპლექსური მოდელები, რომლებიც აჩვენებდნენ სხვადასხვა ცვლადის შინაარსობრივ რელევანტურობასა და მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ხმის მიცემის პროცესთან. (იხ., მაგალითად (Sarlvik, B., Crewe, I., 1983), (Heath, A.F., 1991), (Heath, A.F., 1985))

მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი წვლილისა, რომელიც ბიჰევრიოსტულმა ანალიზმა შეიტანა ამომრჩეველთა ქცევის ანალიზში, ხშირად ამტკიცებენ, რომ ხმის მიცემის შინაარსობრივი ასპექტები, ისევე, როგორც ანალიზის გარკვეული ნაწილი, ძირითადად მაინც გამოტოვებულია ბიჰევიორისტული ანალიზიდან. შესაძლოა, არასაკმარისი ყურადღება ეთმობოდა ამომრჩეველთა აღქმებში არსებულ შეუსაბამობებს თუ წინააღმდეგობებს, ან ამომრჩევლების ცვალებად პოლიტიკურ პრეფერენციებს. გარდა ამისა, ამგვარი პრეფერენციები განსხვავებულია ერთმანეთისგან კონტექსტის მიხედვითაც. ასევე, იგივე პრობლემა დადგა ბევრ სხვა სფეროშიც, რომლებიც ეხება ინდივიდების მხრიდან მეტ-ნაკლები ხარისხით საკუთარ თავის ასახვას, სადაც ბიჰევიორისტული საარჩევნო კვლევები არც ისე გამბედავია. როგორი ადამიანი მგონია, რომ ვარ? რა მისწრაფებები და მოლოდინები მაქვს ჩემ სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით? როგორ შემიძლია ცხოვრების წარმართვა? როგორ დავაკავშირო ჩემი წარმოდგენები პიროვნული მორალის შესახებ ძირითადი პოლიტიკური პარტიების მორალურ პოზიციებს? ასეთ კითხვებზე პასუხებს შესაძლოა ნაკლებად ჰქონდეს გავლენა პოლიტიკური პრეფერენციების ჩამოყალიბებასა და ტრანსფორმაციაზე, თუმცა ბიჰევიორისტული ჩარჩოს ფარგლებში, ძალიან ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეიძლება ასეთ შეკითხვებს გაეცეს პასუხები.

ცხადია, ამ პასუხების სისტემური გაზომვის სირთულის გათვალისწინებით რთულდება მათი გაზომვა და ოფიციალურ ანალიზში მოქცევა. შედეგად, ისინი დიდწილად გამორიცხულია ანალიტიკური ჩარჩოდან.

ბიჰევიორისტული კვლევის მეორე, პირველთან დაკავშირებული და არასასურველი მახასიათებელია, რომელიც წარმოიქმნება მისი გადაჭარბებული ემპირიული ფოკუსიდან, არის ტენდენცია, რომ კონცენტრირდეს ადვილად დაკვირვებად ფენომენებზე - როგორიცაა ხმის მიცემა - და ნაკლებადაა მიმართული უფრო დახვეწილ და შესაძლო უფრო ძლიერ სტრუქტურულ ძალებზე, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში სტაბილურობას ან/და ცვლილებებს. ერთი აშკარა კონცეფცია, რომელიც უგულებელყოფილია ამ კონტექსტში ბიჰევიორისტული კვლევის მიერ, არის ინტერესთა კონცეფცია. ინტერესთა ცნებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოციალური და პოლიტიკური თეორიების მრავალფეროვნებაში, დაწყებული მარქსიდან, მაქს ვებერიდან და ვილფრედო პარეტოდან, დამთავრებული მორგენთაუსა და ე.ჰ. კარის ნაშრომებით საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. ყველა ამ კონტექსტში, სოციალური აქტორები, იქნებიან ესენი ინდივიდები, ინდივიდთა ჯგუფები ან თუნდაც ეროვნული სახელმწიფოები, განიხილებიან, როგორც ,,ინტერესთა“ მაქსიმიზაციისკენ მიმავალი სტრატეგიები. მიუხედავად ამისა, როგორც ბიჰევიორიზმის ტრადიციაში მომუშავე მკვლევარებმა არაერთხელ დაადგინეს, უჩვეულოდ რთულია კონკრეტული ინდივიდის, ჯგუფის თუ სახელმწიფოს „ინტერესების“ უშუალოდ დაკვირვება. შედეგად, ბიჰევიორისტული კვლევა ერიდება ინტერესების თეორიულ და ემპირიულ ანალიზს - ამჯობინებს, რომ ეს სფერო ღიად დარჩეს სხვა, არაემპირიულ ტრადიციებში მომუშავე მეცნიერებისთვის.

ბიჰევიორისტული კვლევის მესამე არასასურველი თვისება, რომელიც სულ უფრო თვალსაჩინოა, არის ტენდენცია, რომ საუკ-

ეთესოდ შეფასდეს ის, რაც ,,სტატისტიკურ სისწორესთანაა“ დაკავშირებული, რამაც განაპირობა ბიჰევიორალისტების მხრიდან ასახსნელ ფენომენზე მზარდი ფოკუსირება სტატისტიკური შეფასების სიზუსტესა და მასთან დაკავშირებული სტანდარტული შეცდომების მიმართ. ამჟამინდელი ბიჰევიორისტული ანალიზი, როგორც წესი, ფოკუსირებულია მცირე სტატისტიკური ეფექტების სწორ შეფასებაზე (ზოგიერთ პუბლიკაციაში სამ და ოთხ ათწილადამდეც კი) და უგულებელყოფილია ფაქტი, რომ განსახილველ დამოკიდებულ ცვლადში, ცვალებადობის უმეტესი ნაწილი სტატისტიკურად აუხსნელი რჩება. ხშირად ნაკლები ყურადღება ეთმობა იმ მონაცემთა დიდი ნაწილის მოუქნელ და განუსაზღვრელ ბუნებას, რომელიც ბიჰევიორისტული კვლევის პროცესში ანალიზდება. ამას შეიძლება ვუწოდოთ წარუმატებლობა, რომელიც ხშირად აქცევს ზუსტ სტატისტიკურ შეფასებას რაღაც ტიპის უმნიშვნელო სავარჯიშოდ.

თეორიის და დაკვირვების მოჩვენებითი დამოუკიდებლობა

ბიჰევიორიზმის ადრეულმა წარმომადგენლებმა სოციალური კვლევისადმი მათი მიდგომა ,,მეცნიერულად“ და ,,ღირებულებებისგან დაცლილად“ წარმოადგინეს. ხაზს უსვამდნენ, რომ არ ცდილობდნენ კონკრეტული ეთიკური ან პოლიტიკური პოზიციის გამართლებას, მათი მცდელობა მიმართული იყო გამოეძიათ ,,ფაქტები“ მიუკერძოებელი დაკვირვების გზით და შედეგად, შემოეთავაზებინათ პოლიტიკურად ნეიტრალური თეორიები, რომლებიც ზომიერ ახსნებს შემოგვთავაზებდნენ. როგორც ზემოთ ნაჩვენები ჰემპელის ციტატა გვიჩვენებს ინდუქციის ხარისხზე მსჯელობისას, ყოველთვის შეუძლებელი იყო ,,ამხსნელი თეორია“ გამოჩენილიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა შესაბამისი ფაქტი ობიექტურად იქნებოდა შესწავლილი. გარკვეული თეორიის გაგება/აღქმა იმთა-

ვითვე მნიშვნელოვანია, სანამ მკვლევარი გადაწყვეტს, თუ რა არის ის, რასაც უნდა დააკვირდეს.

თანამედროვე ბიჰევიორალისტები, სხვა ინტელექტუალურ ტრადიციებში მომუშავე მკვლევრებთან ერთად, კატეგორიულად უარყოფენ მოსაზრებას, რომ თეორია და დაკვირვება ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. სანაცვლოდ, პოსტ-ბიჰევიორალისტების უმრავლესობა აღიარებს რელატივისტურ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ის, რაც დაკვირვებადია, ნაწილობრივ წარმოადგენს იმ თეორიული პოზიციის შედეგს, რომელსაც ანალიტიკოსი პირველ რიგში აკვირდება. თუმცა, თანამედროვე ბიჰევიორალისტები განსხვავდებიან რელატივისტთა უმეტესობისგან. ერთია იმის დაშვება, რომ დაკვირვებები, რომლებიც თეორიიდან მომდინარეობს იმთავითვე არ გულისხმობს, რომ თეორიებისა და დაკვირვებების ერთი ჯგუფი ისეთივე კარგია, როგორც მეორე. თანამედროვე ბიჰევიორალისტებისთვის, კარგი თეორიის საბოლო გამოცდა მაინც არის ის, თუ რამდენად შეესაბამება დაკვირვება არსებულ ემპირიულ მტკიცებულებებს. თანამედროვე ბიჰევიორალისტები სავსებით მზად არიან დაეთანხმონ, რომ განსხვავებული თეორიული პოზიციები, სავარაუდოდ, იწვევს ,,რეალობის“ განსხვავებულ აღწერას - და ისინი, სავარაუდოდ, წარმოქმნიან განსხვავებულ ,,დაკვირვებებს“. თუმცა, დაჟინებით ამტკიცებენ, რომ რაც არ უნდა ,,დაკვირვებას“ გულისხმობდეს კონკრეტული თეორიული პერსპექტივა, თითოეული ეს დაკვირვება გამოყენებული უნდა იქნეს წარმოდგენილი თეორიის სისტემატური ემპირიული შემოწმებისთვის.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ბიჰევიორალისტებს ზოგჯერ აკრიტიკებენ - გარკვეულწილად სამართლიანად - სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის ,,დიდი სურათის“ გაუცნობიერებლობის გამო. რაშიც იგულისხმება, რომ ინდივიდუალურ ან ჯგუფურ ქცევაზე დეტალური აღწერისა და დაკვირვების დროს, ბიჰევიორალისტებს შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეთ ,,უფრო

ღრმა“ სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების მნიშვნელობა. მაგალითად, თეორეტიკოსები, რომლებიც მსჯელობენ, თუ როგორ ვითარდება ,,სახელმწიფო“ მოწინავე კაპიტალიზმის პირობებში (მაგ. (Adorno, T.W., 1976), (Habermas, J., 1976), Jessop, 1990), მიდრეკილნი არიან ბიჰევიორისტული ანალიზის ,,დაკნინებისკენ“, რომელსაც მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ზედაპირულად ან წარუმატებლად შეუძლია ასახოს სოციალური ან პოლიტიკური ცვლილებების თეორია. ბიჰევიორალისტები პასუხობენ, რომ ფართო სოციალური თეორიები, რომლებსაც სოციალური ცვლილებების სიღრმისეული ანალიზი დაუსახავთ მიზნად, უნდა ეფუძნებოდნენ რაიმე ტიპის ემპირიულ დაკვირვებებს. მაგალითად, თუ ავტორი ამტკიცებს, რომ ,,კაპიტალისტური სახელმწიფო“ იმყოფება ,,კრიზისში“, მან უნდა შეძლოს განსაზღვროს, თუ რეალურად რა არის ,,კრიზისის“ დაკვირვებადი ფენომენები. თუ არსებობს რაიმე სახის ,,კრიზისი“, ადამიანებმა უნდა განახორციელონ გარკვეული სახის ქმედებები, ან უნდა იფიქრონ რაღაცაზე, რაც ანალიტიკოსს საშუალებას მისცემს, რომ დანამდვილებით იცოდეს ,,კრიზისის“ არსებობის შესახებ. ანალოგიურად, თუ სოციალური ურთიერთობის რაიმე ახალი ფორმა ჩნდება (შესაძლოა ეკონომიკური წარმოების ახალი ფორმების შედეგად), მაშინ ურთიერთობის ამ ახალ ფორმას აუცილებლად უნდა ჰქონდეს რაიმე ტიპის ემპირიულად გამამყარებელი საფუძვლები, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეუძლია მკვლევარს ,,იცოდეს“, რომ სოციალური ურთიერთობის მართლაც ახალი ფორმა გაჩნდა?

ბიჰევიორალისტები სავსებით მზად არიან ფართო სოციალური და პოლიტიკური თეორიების შესაძლებლობა და სასურველობა აღიარონ. ისინი უბრალოდ ამტკიცებენ, რომ ასეთი თეორიები განუსაზღვრელად აბსტრაქტულ თეორიებს არ უნდა წარმოადგენდნენ, მათივე სანდოობისთვისაა მნიშვნელოვანი, რომ ემპირიულად შემოწმებადი გახდეს. ბიჰევიორალისტებისთვის, სოციალურმა

და პოლიტიკურმა თეორიებმა, იქნება ეს სტაგნაციასა თუ სოციალ-ურ ცვლილებებზე ორიენტირებული, უნდა აღწერონ და ახსნან ის, რისი დაკვირვებაც შესაძლებელია. სოციალური ცვლილებების თეორიები ბიჰევიორალისტებისთვის მაშინ ხდება საინტერესო, როდესაც მასში (1) დაკონკრეტებულია ემპირიული ფენომენები, რომელიც სიღრმისეულ ცვლილებებზე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა; (2) უზრუნველყოფილია ემპირიული მტკიცებულებებით, სადაც ნამდვილად ჩანს, რომ ფენომენები იცვლება თეორიაში დასახელებული მიმართულებით. ბიჰევიორალიზმი სრულად ნეიტრალურია იმ გაგებით, თუ როგორი უნდა იყოს ,,ემპირიული წყაროები" ნებისმიერ თეორიაში - რაც მათთვის სოციალური თეორიის სფეროს წარმოადგენს. თუმცა, ბიჰევიორალისტებისთვის სოციალური ,,თეორია" მკაფიო ემპირიული მტკიცებულებების გარეშე, სხვა არაფერია, თუ არა უბრალოდ ,,მტკიცება".

ბიჰევიორისტული მიდგომის სიძლიერე: მაგალითი

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოცემულ დისკუსიაში ბიჰევიორისტული მიდგომა სერიოზულ კრიტიკას დავუქვემდებარეთ, არასწორი იქნება დავასკვნათ, რომ ბიჰევიორისტული კვლევის ყველა მაგალითი პრობლემურია. პირიქით, ბიჰევიორისტულმა კვლევამ შეიძლება მნიშვნელოვანი თეორიული და ემპირიული წვლილი შეიტანოს სოციალური ქცევის გაგებასა და ახსნაში.

ბიჰევიორისტული მიდგომის ძლიერი მხარეები, პირველ რიგში მოიცავს ანალიზის ისეთ მხარეებს, რომლითაც მას რეპლიკაციის უნარი გააჩნია. ბიჰევიორალისტურ ტრადიციებში მომუშავე მეცნიერები ყურადღებით უდგებიან ისეთ საკითხებს, რომ სხვა მკვლევრებს, რომლებსაც მსგავსი ვარაუდები გააჩნიათ და იმავე ემპირიულ მტკიცებულებებს იკლვევენ, შეეძლოთ მსგავსი დასკვნების გამოტანა (გადამოწმება). კვლევის მიგნებების განმეორებადობის (რეპლიკაციის) უზრუნველსაყოფად, ბიჰევიორალისტებს ძალი-

ან მკაფიოდ უწევთ დაზუსტება, თუ (1) რის ახსნას ცდილობენ, (2) როგორ იყენებენ მათთვის პრიორიტეტულ თეორიას და (3) რა გზას იყენებენ თეორიული ახსნების თუ ემპირიული ფაქტების შესაფასებლად. ახსნა-განმარტების სიცხადის საჭიროება, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ბიჰევიორალისტები იშვიათად შედიან აკადემიური დებატების ყველაზე სტერილურ სივრცეში: მაგ. რას გულისხმობდა X ავტორი, როდესაც ის საუბრობდა Y საკითხზე? ბიჰევიორალისტებისთვის, თუ X-ის შრომა არ არის მკაფიო და ცხადი, მაშინ შეუძლებელია X-ის შრომის რეპლიკაცია და შესაბამისად, Y არგუმენტი, სავარაუდოდ, ნებისმიერ შემთხვევაში დამაეჭვებელი იქნება.

,,კარგი“ ბიჰევიორისტული ანალიზის მაგალითად შეიძლება წარმოვადგინოთ ლარს-ერიკ სედერმანის, კრისტიან სკრედ გლედიჩისა და ჰალვარდ ბუჰაუგის კვლევა სამოქალაქო ომზე უთანასწორობის გავლენის შესახებ (Cederman, L., Gleditsch, K.S., Buhaug, H., 2013) მათი ანალიზი მოიცავს თეორიებისა და მოდელების ფრთხილ დაზუსტებებს და სისტემატური ემპირიული შემოწმებების ერთობლიობას. ის გვთავაზობს მეთოდოლოგიურ წინსვლას სამოქალაქო ომისა და რესურსების შეფასებაში და არსებითად გამოკვეთს, თუ როგორ უწყობს ხელს ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობა სხვადასხვა ჯგუფებს შორის სამოქალაქო კონფლიქტის დაწყებას (1945-2009 წლებში).

ავტორები - სედერმანი, გლედიჩი და ბუჰაუგი (CGB) - ყურადღებას ამახვილებენ კითხვაზე, რომელიც მკვლევრებს, საერთაშორისო ურთიერთობების ანალიტიკოსებსა და ადამიანის უფლებათა აქტივისტებს მრავალი წლის განმავლობაში აწუხებთ: რამდენად არის უთანასწორობა პასუხისმგებელი იმ უთანხმოების წარმოქმნაზე, რომელიც იწვევს კონფლიქტსა და სამოქალაქო ომს? დიდი ხანია აღიარებულია, რომ ბრაზმა, პოლიტიკური გარიყულობისა და შედარებითი ეკონომიკური დეპრივაციის გამო, შეიძლება ძალადობის პროვოცირება გამოიწვიოს, რომელიც შეიძლება განსაკუთრე-

ბით ინტენსიური გახდეს, თუ საქმე ეთნიკურ განხეთქილებასთან გვაქვს. პარადოქსულია, რომ პოლიტიკური ძალადობის შესახებ მანამდე არსებულმა რაოდენობრივმა კვლევებმა ძალიან შეზღუდული კავშირი იპოვეს პოლიტიკური ძალადობისა და სამოქალაქო ომის მიმართ ბრაზზე/უკმაყოფილებაზე დაფუძნებული ახსნებისთვის ((Lichbach, M., 1989), (Fearon, J., Laitin, D., 2003), (Collier, D. Brady, Seawright, J., 2004)). წინამდებარე კვლევის ავტორები ამტკიცებენ, რომ ეს განპირობებულია ფაქტით, რომ მანამდე არსებული კვლევები ფოკუსირდებოდა ქვეყნის დონეზე ინდივიდუალურ მონაცემებზე, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებდნენ ეთნონაციონალიზმის საკითხს, ქვეყნის ფარგლებში არსებულ სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ავტორები (CGB) მიყვებიან სტიუარტის (2008ბ) კონცეფციას ,,ვერტიკალური" უთანასწორობის შესახებ, რომელიც არსებობს სხვადასხვა ინდივიდსა და შინამეურნეობას შორის და ასევე, მათ შორის არსებულ ,,ჰორიზონტალურ" უთანასწორობას ჩვეულებრივ ეთნიკურ ჯგუფებს შორის. წიგნი ავითარებს ჰორიზონტალური უთანასწორობის გაუმჯობესებულ ვერსიას ჯგუფების დონეზე, რომელიც ფოკუსირდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხელმისაწვდომობაზე სახელმწიფო ძალაუფლების მიმართ. ამ საზომების გამოყენებით, კვლევა ადგენს სამოქალაქო ომში უკმაყოფილებაზე დაფუძნებული ახსნების უპირატესობას, რომელიც უკეთესად შეესაბამება მონაცემებს და 1945-2009 წლამდე პერიოდში სამოქალაქო ომების წარმოშობისა და ხანგრძლივობის შესახებ ძლიერ და დამაჯერებელ ახსნას გვთავაზობს.

სედერმანი, გლედიჩი და ბუჰაუგი კვლევას ჰორიზონტალურ უთანასწორობასა და სამოქალაქო ომს შორის თანმიმდევრული კავშირების თეორიული ანალიზით იწყებენ. თეორიულ ეტაპებს კი გამოყოფენ შემდეგი თანმიმდევრობით: **ჰორიზონტალური უთანასწორობა** → ჯგუფების იდენტიფიცირება → ჯგუფთაშორისო შედარებები → უსამართლობის შეფასება → **ბრაზი და მობილიზება** →

მეამბოხეების პოზიციები და სახელმწიფო რეპრესიები → **სამოქალაქო ომი.**

ამ სქემაში, ჰორიზონტალური უთანასწორობა ჯგუფებს შორის არის ობიექტური პირობა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ დაკვირვებადია, აუცილებლად არ იწვევს ბრაზს და სამოქალაქო ომს. ჯგუფურ უთანასწორობას მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი ჯგუფის იდენტიფიცირების შესაძლებლობა და რომელიც გამომდინარეობს კლასიფიკაციური სქემებიდან (რომელიც შეიძლება მივიღოთ ქვეყნის ეროვნული აღწერის მონაცემებიდან) და/ან კანონებიდან და/ან ,,კულტურული ასპექტებიდან", რომლებიც შემუშავებულია მეცნიერების, მკვლევრების ან აქტივისტების მხრიდან. ამგვარი სქემები ხელს უწყობს ჯგუფთაშორისი შედარების გაკეთებას, რომელიც შეიძლება არასწორადაც იყოს აღქმული, მაგრამ აქტივისტები ხშირად ასახელებდნენ როგორც შესამჩნევ ეკონომიკურ და პოლიტიკურ უთანასწორობას ჯგუფებს შორის. შემდეგი ეტაპია - უსამართლობის შეფასება ან იდენტიფიცირება, პროცესი, რომლის დროსაც ეკონომიკური დეპრივაციის მქონე ჯგუფები აკონკრეტებენ სტატუს ქვოში არსებულ უსამართლობას. ამ პროცესს მოყვება ე.წ ,,ფრეიმინგის" პროცესი, რა დროსაც აქტივისტები, ამ ჯგუფებთან ერთად, ახერხებენ სახელმწიფო დაადანაშაულონ აღქმული უთანასწორობის გამო. მობილიზაციის ფაზაში ელიტები იყენებენ უკვე არსებულ სოციალურ ქსელებს პროტესტისა და ოპოზიციის სტიმულირებისთვის. მობილიზაციას ავტორები განიხილავენ, როგორც ძალადობის ინდივიდუალური, რაციონალური არჩევნის ახსნის მნიშნელოვან საპიროწნეს. ბოლო ეტაპზე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მეამბოხეების პრეტენზიების და სახელმწიფო რეპრესიების ეტაპი, მეამბოხეების მოთხოვნები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც კოლექტიური მოთხოვნები ჰორიზონტალური უთანასწორობის შემცირების შესა-

ხებ და სახელმწიფოს ნებისმიერი რეაქცია ამ პროცესსა და პროტესტზე.

ამ კვლევის მთავარი მიზანია რაც შეიძლება ზუსტად შეაფასოს ჰორიზონტალური (ჯგუფური) უთანასწორობის ეფექტი სამოქალაქო ომის დაწყებაზე. თეორიული მოდელის ყველა ეტაპის პირდაპირი შემოწმება შეუძლებელია, რადგან საჭირო მონაცემები ქვეყნებისა და წლების მიხედვით, სრულად არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, რაც მნიშვნელოვანია, არის იმის დაზუსტება, თუ რა ტიპის სტატისტიკური ურთიერთობები შეიძლება არსებობდეს ცვლადებს შორის ან იმ მონაცემებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ დააკვირდნენ და შეამოწმონ მათი თეორიის სისწორე. მოკლედ, მათ შეუძლიათ შეამოწმონ შეესაბამება, თუ არა ემპირიული მტკიცებულებები თეორიაში მოყვანილ საკითხებს.

გასათვალისწინებელია, რომ ყველა ამ სტატისტიკურ დავალებაში, ავტორებს საქმე აქვთ შედარებით იშვიათ ფენომენთან (რადგან ქვეყნების უმეტესობაში არ ხდება სამოქალაქო ომი) და მათი მთავარი მიზანია დაადგინონ ზოგადი კავშირი უთანასწორობასა და კონფლიქტის დაწყებას შორის. რაც ნიშნავს, რომ უთანასწორობის შედეგების გათვალისწინებით, ავტორები ისეთივე საქმიანობას ახორციელებენ, როგორიცაა მაგალითად ეპიდემოლოგიურ სამედიცინო კვლევებში გაწეული საქმიანობა. ისინი ეძებენ შედარებით მცირე სტატისტიკურ ეფექტებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს დაკვირვებად ფენომენზე (ამ შემთხვევაში, სამოქალაქო ომზე) და ზრდის მისი წარმოშობის ალბათობას. თავის მხრივ, ეს მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სტატისტიკური ეფექტების ზუსტ შეფასებას სხვადასხვა მოდელის გამოყენებით, რომელიც ძალიან საფრთხილო საქმეა. ამ მიზნით, ავტორებს შემუშავებული აქვთ სტატისტიკური მოდელირებების სერია, რომელიც საშუალებას აძლევს მათ შეამოწმონ სხვადასხვა ფაქტორის (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახელეზე, მოსახლეობის ზომა, კონფლიქტის

წინა გამოცდილება, დემოკრატიის ხარისხი) გავლენა სამოქალაქო ომის ხდომილებაზე. სტატისტიკური შემოწმების ეს იდეა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამ თემის შესწავლაში, რამდენადაც ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა ის პოტენციურად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლითაც დადასტურდება, რომ ნებისმიერი კორელაცია უთანასწორობისა და ძალადობრივი კონფლიქტის შესახებ არ არის უბრალოდ ,,დამთხვევა", არამედ ის წარმოადგენს რეალურ მიზეზშედეგობრივ კავშირს.

ავტორთა პირველი ამოცანაა შეაგროვონ მტკიცებულებათა ბაზა, რომელიც საშუალებას მისცემს ამ ტიპის სხვადასხვა ურთიერთობების და კავშირების შესწავლაში, როგორც ქვეყნების, ასევე, დროის ჭრილშიც. ამ კვლევაში მონაცემთა მრავალფეროვანი წყაროებია გამოყენებული, მათ შორის: თავიანთი გამოკითხვის ბაზა ,,ეთნიკური ძალაუფლების ურთიერთობების" შესახებ, რომელიც მიიღეს ექსპერტთა გამოკითხვის გზით, ასევე, მთლიანი შიდა პროდუქტის (G-Econ), მოსახლეობის (GRUMP) და ეთნიკური დასახლებების (Geo_EPR) შესახებ არსებულ და შეგროვებულ მონაცემებს. ასევე, ხშირადაა გამოყენებული უფსალას მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის შეიარაღებული კონფლიქტების მონაცემთა ბაზა. ზემოხსენებული ცალკეული მონაცემთა ბაზები გაერთიანებულია ერთიანი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად, რომელშიც ,,კონფლიქტის დაწყება და მისი გაზომვა დაკავშირებულია ეთნიკურ ჯგუფებთან, იმ დაშვებით, რომ წინააღმდეგობრივი ჯგუფები გამოხატავენ მხარდაჭერას ეთნიკური ჯგუფების მიმართ და რომ ეთნიკური ჯგუფის წევრები მონაწილეობენ წინააღმდეგობაში" (გვ. 69). თითოეული შემთხვევა მონაცემთა ბაზაში დაჯგუფებულია წლების მიხედვით. მთავარ *დამოკიდებულ ცვლადს* წარმოადგენს ფენომენი, რომელიც ასახავს, კონკრეტულ წლებში ჯგუფის გამოცდილებას კონფლიქტის ქონასთან დაკავშირებით, სადაც (=1) ნიშნავს ასეთი გამოცდილების არსებობას, ხოლო (=0) - არ არსებობას. შემთხვევები, რომელ-

შიც ერთი ჯგუფი იმდენად დომინანტურია, რომ არ არსებობს ჯგუ-ფებს შორის გამოწვევა (დომინანტური ჯგუფი საკუთარ თავს ვერ აუჯანყდება) ამოღებულია ანალიზიდან. ამ პირობების გათვალის-წინებით, მონაცემთა ბაზა მოიცავს 29,533 შემთხვევას, 1945-2009 წლებში.

ავტორები მოცემულ ანალიზში ორ ძირითად დამოუკიდებ-ელ ან ამხსნელ ცვლადს გვთავაზობენ: (1) არის თუ არა ეთნიკური ჯგუფი გამორიცხული ან გარიყული პოლიტიკური ძალაუფლების-გან და (2) არის თუ არა ეს ჯგუფები ეკონომიკური დეპრივაციის ან პირიქით, წარმოადგენენ თუ არა შედარებით მდიდარ ჯგუფებს, რაც შედარებულია ერთ სულ მოსახლეზე კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემოსავლებსა და შე-მოსავლის ეროვნულ საშუალო მაჩვენებლებს შორის. საილუსტრა-ციოდ, ცხრილი 1.1. გვიჩვენებს მარტივ ბივარიაციულ დამოკიდე-ბულებას დამოუკიდებელ (პოლიტიკაში მონაწილეობა/გამორიც-ხვას) და დამოკიდებულ (სამოქალაქო ომის დაწყებას) ცვლადებს შორის. წარმოდგენილი ცხრილი ადასტურებს, რომ სამოქალაქო ომის დაწყება ძალზე იშვიათი მოვლენაა, რაც მხოლოდ 0,7% შემ-თხვევაში ხდება. მაგრამ რაც მთავარია, თუ ეთნიკური ჯგუფი გამო-რიცხულია ქვეყანაში პოლიტიკური ძალაუფლებისგან, სამოქალაქო ომის დაწყების ალბათობა ორჯერ იზრდება (გამორიცხვის შემ-თხვევასი მაჩვენებელი 0,86%-ია), ვიდრე ისეთ შემთხვევებში, რო-დესაც ჯგუფი ჩართულია პოლიტიკურ ძალაუფლებაში (0,32%). კრიტიკული კითხვაა, თუ რამდენად არის ეს მარტივი ასოციაცია, როდესაც რელევანტურ ცვლადებს სტატისტიკურად ვამოწმებთ და თუ ასეა, რამდენად ცვლის ჯგუფის გამორიცხვა პოლიტიკური ძა-ლაუფლებიდან სამოქალაქო ომის წარმოშობის ალბათობას.

ემპირიული ანალიზი, რომელსაც წარმოდგენილი ავტორები გვთავაზობენ, ორ ფართო ნაწილად არის განვითარებული. რაც გან-პირობებულია იმით, რომ პოლიტიკური გარიყულობის შესახებ მო-

ნაცემები მოიცავს 1945-დან 2009 წლამდე არსებულ სრულ პერიოდს, მაშინ, როდესაც ეკონომიკური გამორიცხვის შესახებ მონაცემები მხოლოდ 1990 წლიდან არის ხელმისაწვდომი. რაც განაპირობებს იმას, რომ პოლიტიკური გამორიცხვის მოდელები აიგება 1945 წლიდან (N=29000-ზე მეტ შემთხვევას), ხოლო ეკონომიკური გამორიცხვის შედეგები შეფასებულია მხოლოდ 1990 წლიდან (N=5377 შემთხვევას);

ცხრილი 1.1 დამოკიდებულება კონფლიქტის დაწყებასა და ჯგუფის პოლიტიკაში ჩართულობას/გამორიცხვას შორის.

	ჯგუფის მონაცემები (ჯამურად)	კონფლიქტის დაწყება
ჯგუფი ჩართულია პოლიტიკურ ძალაუფლებაში	8,951	29 (0,32%)
ჯგუფი გამორიცხულია პოლიტიკური ძალაუფლებიდან	20,582	178 (0,86%)
ჯამი	29,533	207 (0,70%)

Sig p< .001

წყარო: GCB, გვ. 71

ცხრილი 1.2 გვიჩვენებს, რომ ავტორთა მცდელობას ძირითადად წარმოადგენდა პოლიტიკური გამორიცხვის და სამოქალაქო ომის დაწყების მოდელირების ჯგუფურ დონეზე ჩვენება. ცხრილი განასხვავებს ეფექტებს ანალიზის ორ სხვადასხვა დონეზე - (1) ჯგუფის დონეზე (რომელშიც გაანალიზებულია ჯგუფის მახასიათ-

ებლები) და (2) ეროვნულ (ქვეყნის) დონეზე (რომელიც ცალკეულად ეხება იმ ქვეყნის მახასიათებლებს, რომლებსაც თითოეული ჯგუფი წარმოადგენს); ძირითად ამხსნელ ცვლადს ამ ცხრილში წარმოადგენს - ჯგუფის გამორიცხვა პოლიტიკური ძალაუფლებიდან. ყველა სხვა ცვლადი შეიძლება ჩაითვალოს საკონტროლო სტატისტიკურ ცვლადებად, რომელთა ჩართვაც მნიშვნელოვანია, რამდენადაც წინა კვლევებმა აჩვენა, რომ ამ ცვლადებს შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ სამოქალაქო ომის დაწყებაზე. ჯგუფის დონეზე, საკონტროლო ცვლადს წარმოადგენს **ჯგუფის შემცირებადობა** (რომელიც ზომავს, რამდენადაც განიცადა ჯგუფმა დროის განმავლობაში პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვა), ასევე, **ჯგუფის შედარებითი ზომა** (რომელიც ამოწმებს პოლიტიკური ძალაუფლებიდან გამორიცხული დიდი ჯგუფებია უფრო მიდრეკილი კონფლიქტებისკენ, თუ მცირე ზომის ჯგუფები) და **წინარე კონფლიქტების გამოცდილების რაოდენობა** (ჯგუფებს, რომლებსაც წარსულში აქვთ მსგავსი გამოცდილება, ხომ არ არიან უფრო მიდრეკილნი კონფლიქტებისკენ); ეროვნულ (ქვეყნის) დონეზე სტატისტიკური შემოწმება მოიცავს შესაბამის ქვეყანაში მიმდინარე ძალადობრივი კონფლიქტების კავშირს **ქვეყნის ფარდობით სიმდიდრესთან** (იზომება მშპ-ის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე), ასევე, ქვეყნის **მოსახლეობის რაოდენობასთან** (ფარდობითი ზომა) და **დემოკრატიის ხარისხთან** (რომელიც გაოზმილია პოლიტიკის სკალარული ინდექსის დახმარებით, Gates და სხვ., 2006).

ცხრილი 1.2 პოლიტიკური ჰორიზონტალური უთანასწორობა და სამოქალაქო ომის დაწყება ჯგუფურ დონეზე.

	ძირითადი მოდელი
ცვლადები ჯგუფის დონეზე	
ჯგუფი გამორიცხულია პოლიტიკიდან	1,22 (0,25)**
ჯგუფის შემცირებადობა პოლიტიკიდან	1,43 (0,34)**
ჯგუფის შედარებითი ზომა	1,31 (0,39)**
წინარე კონფლიქტების რაოდენობა	0,72 (0,09)**
ცვლადები ეროვნულ (ქვეყნის) დონეზე	
მიმდინარე კონფლიქტები	0,67 (0,30)*
მშპ/ერთ სულ მოსახლეზე	-0,23 (0,09)*
მოსახლეობის ფარდობითი რაოდენობა	0,01 (0,09)
დემოკრატიის ხარისხი	0,60 (0,44)
კონსტანტა	-4,53 (1,05)**
დაკვირვებების რაოდენობა	26,306

შეფასება წარმოადგენილია ლოგისტიკური რეგრესიით; წარმოდგენილი კოეფიციენტები მიუთითებს კონფლიქტის წარმოქმნის შანსებს დამოუკიდებელ ცვლადებში ერთეული ცვლილების გათვალისწინებით;

* $p < .05$ (მყარი სტანდარტული შეცდომები წარმოდგენილია ფრჩხილებში)

** $p < .01$

ცხრილში 1.2. ნაჩვენები მოდელის გასაგებად მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ სხვადასხვა კოეფიციენტების მნიშვნელობების დონის, მიმართებების (დადებითი ან უარყოფითი) და ფარდობითი სიდიდეების მაჩვენებლებს. მნიშვნელობის დონეები მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად შეგვიძლია განსხვავებები სტატისტიკურად

მნიშვნელოვნად მივიჩნიოთ. მაგალითად, კოეფიციენტები, რომლებსაც გვერდით ორი ვარსკვლავი აქვს (**), სტატისტიკურად ძალიან მნიშვნელოვან განსხვავებას გვაძლევს და 99%-იანი სანდოობით შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ მითითებული დამოუკიდებელი ცვლადი გავლენას ახდენს დამოკიდებულ ცვლადზე, რომლის ახნასაც ვცდილობთ. ერთი ვარსკვლავი (*) ნიშნავს, რომ სანდოობის ინტერვალი 95%-ითაა წარმოდგენილი. ვარსკვლავის არარსებობა კი ნიშნავს იმას, რომ ცვლადი არ მიუთითებს სტატისტიკურად სანდო განსხვავებაზე განსახილველ დამოკიდებულ ცვლადთან მიმართებაში (ამ შემთხვევაში, სამოქალაქო ომის დაწყებაზე). კოეფიციენტებზე მიმართულების ნიშანი (+ ან -) მიუთითებს იმას, თუ რამდენად შესაბამისობაშია დამოუკიდებელი ცვლადის ზრდა დამოკიდებულები ცვლადის ზრდასთან ან შემცირებასთან. დამოკიდებული ცვლადის ბუნებიდან გამომდინარე, დადებითი (+) ნიშანი ნიშნავს იმას, რომ იზრდება სამოქალაქო ომის შანსები, ხოლო უარყოფითის (-) შემთხვევაში - მცირდება. და ბოლოს, სხვადასხვა კოეფიციენტების ფარდობითი სიდიდეები მიუთითებს იმაზე, თუ რომელ წარმოდგენილ დამოუკიდებელ ცვლადს აქვს ყველაზე დიდი (და ყველაზე მცირე) გავლენა სამოქალაქო ომის დაწყების ალბათობაზე.

ამ კუთხით, ცხადია, რომ ცხრილში 1.2 ყველა დამოუკიდებელ ცვლადს, თუმცა განსაკუთრებით ორ ცვლადს - მოსახლეობა და დემოკრატიის დონე - აქვს მნიშვნელოვანი გავლენა სამოქალაქო ომის დაწყებაზე. ქვეყნის დონეზე საშუალო შემოსავალი ამცირებს სამოქალაქო ომის წარმოშობის შანსებს (იხ. უარყოფითი ნიშანი მშპ ერთ სულ მოსახლეზე ცვლადში), მაგრამ ყველა სხვა ცვლადს აქვს დადებითი ეფექტი, რაც ნიშნავს იმას, რომ სხვა ყველა ზრდის სამოქალაქო ომის წარმოშობის ალბათობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკურ გარიყულობასთან მიმართებაში. მოდელში მითითებული ყველა სხვა ცვლადის გათვალისწინებით, პოლიტიკურად გარიყული ეთნიკური ჯგუფები მნიშვნელოვნად უფრო

ხშირად მონაწილეობენ სამოქალაქო ომში, ვიდრე პოლიტიკურად ჩართული ჯგუფები. ავტორების შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური სიდიდეების ცვლილების ალბათობა საკმაოდ მცირეა, პოლიტიკურად გარიყულ ჯგუფებს დაახლოებით ოთხჯერ მეტი შანსი აქვთ ჩაერთნონ სამოქალაქო ომში (p= .008), ვიდრე პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ჯგუფებს (p = .002).

წარმოდგენილ ემპირიულ ანალიზში კიდევ ერთი პუნქტის ხსენებაა მნიშვნელოვანი. როგორც ზემოთ აღინიშნა, მონაცემები, რომელიც ამ მოდელშია გაანალიზებული, 1945-2009 წლებს მოიცავს. ავტორები, წიგნის ბოლო თავში უთითებენ, თუ რა არის, 2009 წლის შემდეგ სამოქალაქო ომების დაწყების ძირითადი მიზეზები, კვლევაში წარმოდგენილი პროგნოზური ცვლადების მიღმა. ცხრილი 1.3 განსაზღვრავს პირველ ათ ქვეყანას, 2009 წელს, რომელშიც პოლიტიკურად გამორიცხული მოსახლეობის წილი ყველაზე მაღალია. სხვა პირობები რომ მხედველობის მიღმა დავტოვოთ, ეს არის ის ქვეყნები, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან სამოქალაქო ომებს. პირველ ადგილზე სირიის ყოფნა, რომელიც 2011 წელს სამოქალაქო ომში ჩაიძირა, სწორედ ამაზე მეტყველებს.

ცხრილი 1.3 მთავარი ათი ქვეყანა 2009 წელს, რომელშიც ყველაზე მაღალია პოლიტიკიდან გამორიცხული მოსახლეობის წილი.

ქვეყანა	გამორიცხული მოსახლეობის წილი
სირია	87,6 %
რუანდა	84,8 %
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	80,2 %
სუდანი	75,4 %
ბჰუტანი	75,0 %
კონგო	74,2 %
ანგოლა	70,5 %

ბაჰრეინი	70,0 %
იორდანია	59,2 %
გვატემალა	52,0 %

წარმოდგენილი დასკვნები მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი აჩვენებენ, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის უთანასწორობა სამოქალაქო კონფლიქტის მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზია. ეს ეწინააღმდეგება წინა თაობის რაოდენობრივი კვლევების დასკვნებს (მაგ. იმ დასკვნებს, რომლებიც ქოლიერმა, ჰოფლერმა, ფეარონმა და ლაიტინმა გამოიტანეს), რომლის მიხედვითაც, უთანასწორობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოს წინააღმდეგ შესაძლებელი სამხედრო აჯანყებისა. წარმოდგენილ დასკვნებს, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა გააჩნიათ. სამხედრო შესაძლებლობებზე დაფუძნებულ დასკვნებში, რომელიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე შესაძლო კავშირს აჩვენებს, ორიენტირებულია რეპრესიებზე, შეკავების პოლიტიკასა და ,,მშვიდობის დამყარებაზე სამხედრო ძალების მეშვეობით“. ხოლო ახსნები, რომლებიც დაფუძნებულია პოლიტიკურად და/ან ეკონომიკურად გამორიცხული ჯგუფების წუხილებზე, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ხსნის პირველ რიგში ,,გამორიცხვაზე / გაყირვაზე“ დაფუძნებით.

წინამდებარე კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ სამოქალაქო ომის დაწყების მათივე მოდელი ნაკლებად ითვალისწინებს დროისა და სივრცის ფაქტორებს. მათი ემპირიული ანალიზის შედეგია ის, რომ საჭიროა შემდგომი თეორიული სამუშაოების ჩატარება, რომელიც ემპირიული შეფასების უფრო სიღრმისეულ ანალიზს შემოგვთავაზებს. რაც მოიცავს არსებული თეორიის კვლავწარმოების (რეტროდუქციის) პროცესს, შესაბამისად, კვლევა მოიცავს თეორიასა და ემპირიულ შემოწმებას შორის მუდმივ ურთიერთქმედებას, რომელშიც თეორია მუშაობს, როგორც ემპირიული დაკვირვების,

ოპერაციონალიზაციის და შემოწმების სახელმძღვანელო პრინციპე-ბად, ამასთან, ემპირიული დასკვნები შემდგომში გამოიყენება თე-ორიის შესაცვლელად, გადასინჯვისა და დახვეწისთვის.

რამდენადაც წინამდებარე კვლევა მიჰყვება ბიჰევრიოსტულ პრინციპებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნებისმიერ სხვა დამკვირვებელს ყოველთვის შეუძლია ზუსტად გაიგოს, თუ რა მტკიცებულებებს იყენებენ ავტორები თავიანთი თეორიული პოზი-ციების დასასაბუთებლად. სოციალურ მეცნიერებებში, სადაც თე-ორიასა და კვლევას შორის ხშირად ბუნდოვანება და დაბნეულობა არსებობს, სადაც ზოგიერთი მკვლევარი მიზანმიმართულადაც კი იყენებს ამ ბუნდოვანებას, ბიჰევიორისტული მიდგომები იმგვარი მექანიზმებია, რომელიც უნდა დაფასდეს და განვითარდეს. თავის მხრივ, სედერმანის, გლედიჩისა და ბუჰაუგის ზემოთ განხილული კვლევის მიმართ შეიძლება კრიტიკული დამოკიდებულება გვქონ-დეს - მაგალითად, იმ კუთხით, რომ მათი ემპირიული ანალიზი სრულად ვერ ამოწმებს თეორიული არგუმენტაციის ყველა იმ ეტ-აპს, რომელსაც კვლევა ეფუძნება. როგორც ბიჰევიორალიზმის ბევრ კვლევაში, წინამდებარე კვლევაშიც შესაძლებელია კრიტიკული სა-მიზნეების პოვნა, მაგრამ ბიჰევიორალისტებისთვის უმჯობესია კვლევა იმდენად მკაფიო და ნათელი (შესაძლოა მცდარიც) იყოს, რომ მისი შემოწმება და გადამოწმება შესაძლებელი გახდეს, ნაც-ვლად იმგვარი ,,შეუღწევადი“ კვლევებისა, რომელსაც ცალკე ანალ-იზი სჭირდება ავტორის ,,მნიშვნელობების“ გასაგებად.

დასკვნა: ბიჰევიორალიზმის მემკვიდრეობა 21-ე საუკუნეში

თანამედროვე ბიჰევიორალისტებს შორის ფართოდ არის მი-ღებული მოსაზრება, რომ თეორიული ანალიზი ემპირიული კვლე-ვის სერიოზულ საწყის წერტილს წარმოადგენს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თეორიების შეცვლა, გაუმჯობესება ან უარყოფა შეუძლებელია ემპირიული დაკვირვების საფუძველზე. უფრო მეტიც, თეორია შე-

იძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დისტანცირების მექანიზმი, იმ პოტენციურად ურიცხვი ფაქტისგან, რომელიც შესაძლოა უშუალო დაკვირვების საგანს წარმოადგენდეს, შედეგად, სხვადასხვა ფენომენის კავშირებს შორის შეიძლება გაკეთდეს დედუქციური ტიპის დასკვნები. გარდა ამისა, თეორია არა მხოლოდ აყალიბებს შესამოწმებელ ჰიპოთეზებს, არამედ გვაწვდის მითითებებს და ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ რა ტიპის ემპირიული მტკიცებების შეგროვებით უნდა დაიწყოს მისი შემოწმება. მოკლედ, თეორია შეუცვლელ როლს თამაშობს პოსტ-ბიჰევიორალისტურ ემპირიულ ანალიზში. ბევრი პოსტ-ბიჰევიორისტი ამაზე უფრო შორსაც წავიდა ეპისტემოლოგიური რელატივიზმის მიმართულებით. ხშირად ამტკიცებენ, რომ დაკვირვებად სამყაროში არსებობდა ობიექტური სოციალური რეალობა, რომელსაც ,,მეცნიერული“ ანალიზით აღმოჩენა ესაჭიროებდა. თუმცა, ეს შეხედულება არ არის ასე ფართოდ გავრცელებული პოსტ-ბიჰევიორისტულ წრეებში. პოსტ-ბიჰევიორალისტები არა მხოლოდ აღიარებენ თეორიის ცენტრალურ როლს სოციალურ ანალიზში, ასევე აღიარებენ შესაძლებლობბას, რომ სხვადასხვა თეორიულმა პერსპექტივამ შესაძლოა განსხვავებული დაკვირვებები მიგვაღებინოს. ამგვარი შესაძლებლობა ართულებს კონკურენტობაში მყოფი თეორიების ემპირიულ შემოწმებას, რაც პოსტ-ბიჰევიორალისტების აზრით არ წარმოადგენს ნაკლები მნიშვნელობის მქონე ამოცანას. როგორიც არ უნდა იყოს თეორიაზე დაკვირვება, ის იმ შემთხვევაში ჩაითვლება ჭეშმარიტ ამხსნელ თეორიად, თუ ამ თეორიის გაყალბება / ფალსიფიცირება შესაძლებელი გახდება ისეთი ემპირიული მტკიცებულებების პირობებში, რომელიც ეწინააღმდეგება მოცემულ თეორიაში არსებულ ახსნებს. ნებისმიერი სოციალური კვლევა საბოლოო ჯამში განსაზღვრავს იმას, თუ რას აკეთებენ, ფიქრობენ ან ამბობენ ადამიანები, რაც ანალიტიკოსებმა უნდა გამოიყენონ ,,რეალობის“ აღსაწერად. პოსტ-ბიჰევიორალიზმი ყველა თეორიას აძლევს ,,რეალობის“ ნებისმიერგვარი დახასიათება შექმნან.

თუმცა, თეორიის ამხსნელ თეორიად ჩასათვლელად, მათ უნდა შეძლონ, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, ადამიანთა ქცევა, ფიქრი და საუბარი განსაზღვრონ. არ არსებობს მიზეზი, რის გამოც თეორიის შეფასება შეუძლებელი იქნება მის დაშვებებში არსებული დაკვირვების პირობებში, მაგრამ თუ თეორია ვერ შეფასდება, ანუ მისი ემპირიული გადამოწმება შეუძლებელი გახდება, პოსტ-ბიჰევიორალისტები ასეთ თეორიას ამხსნელი თეორიის წოდებას არ მიანიჭებენ.

ბიჰევიორალისტებისთვის და მათი თანამედროვე პოსტ-ბიჰევიორალისტი კოლეგებისთვის, სოციალური მეცნიერების კვლევის მთავარი მიზანი ქცევის ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე ახსნაა. ბიჰევიორალისტები სვამენ კითხვებს: რატომ იქცევიან ინდივიდები, ინსტიტუციური აქტორები და ეროვნული სახელმწიფოები ისე, როგორც იქცევიან? და რა შედეგები მოჰყვება მათ ამ ქმედებებს? ახსნის ბიჰევიორისტულ ცნებაში ჩართულია მიზეზშედეგობრიობის იდეა. ბიჰევიორალისტები თვლიან, რომ თუ თეორია არ აჩვენებს რაიმე სახის მიზეზშედეგობრივ კავშირებს, ის არ შეიძლება ჩაითვალოს ამხსნელ თეორიად. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ ახსნის სანდოობისთვის, მნიშვნელოვანია იმგვარი ემპირიული პროგნოზების შემუშავება, რომელიც შეიძლება შემოწმდეს დაკვირვების გზით. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია სრული სიზუსტით დადგინდეს კონკრეტული მიზეზშედეგობრივი კავშირები, ამგვარი კვლევის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ, თუ ემპირიული დაკვირვების კონკრეტული ფენომენები რამდენად კავშირშია სხვა კონკრეტულ ფენომენთან ან ფენომენთა ჯგუფთან. მოკლედ, ბიჰევიორალისტებისთვის, დამაჯერებელი ამხსნელი თეორია აუცილებლად მოიცავს ემპირიულ მხარდაჭერას. პოსტ-ბიჰევიორალისტები თამამად ამტკიცებენ, რომ ყველა მკვლევარი, რომელიც ემპირიულ მასალებთან მუშაობს, ფართოდ ეთანხმება აღნიშნულ დებულებას. ამ თვალსაზრისით, ბიჰევიორალიზმის მემკვიდრეობა ემპი-

რიულ მკვლევარებს შორის უზარმაზარია, ბევრი თვალსაზრისით კი, ახლა ჩვენ ყველა პოსტ-ბიჰევიორისტები ვართ.

ბიბლიოგრაფია

Adorno, T.W. (1976). *The Positivist Dispute in German Sociology.* London: Heineman.

Cederman, L., Gleditsch, K.S., Buhaug, H. (2013). *Inequality, Grievances and Civil War.* Cambridge: Cambridge University Press.

Collier, D. Brady, Seawright, J. (2004). Sources of Leverage in Causal Inference: Toward an Alternative View of Methodology. *Rethinking Social Inquiry. Diverse Tools, Shared Standards*.

Comte, A. (1974). *Discourse on the Positive Spirit.* London: Heineman.

Fearon, J., Laitin, D. (2003). 'Ethnicity, Insurgency and Civil War'. *American Political Science Review*, 75-90.

Habermas, J. (1976). *Legitimation Crisis.* London: Heineman.

Heath, A.F. (1985). *How Britain Votes.* Oxford: Pergamon Press.

Heath, A.F. (1991). *Understanding Political Change.* Oxford: Pergamon Press.

Lakatos, I. (1971). *Criticism and the Growth of Knowledge.* Cambridge : Cambridge University Press.

Lichbach, M. (1989). 'An Evaluation of "Does Economic Inequality Breed Political Conflict?" Studies'. *World Politics*, 431-470.

Popper, K. (1959). *The Logic of Scientific Discovery.* London: Hutchinson.

Sarlvik, B., Crewe, I. (1983). *Decade of Dealignment .* Cambridge: Cambridge University Press.

თარგმანი:

თეიმურაზ ბეჟანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი.